ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4362726

ნომერი: AR1658343

თარიღი : 30.01.2019

გაცემის თარიღი : 13.02.2019

გაცნობის თარიღი : 20.02.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სიმონ ჩიქოვანის ქუჩა, N 16ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბადრი ციგრიაშვილი პ/ნ 01010004906
- ნუცუბიძის # 63

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის - სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 6 თებერვლის №38602 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 30 იანვრის AR1658343 განცხადებით მომართა ბადრი ციგრიაშვილმა და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის - სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 6 თებერვლის №38602 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, მიწის ნაკვეთის ახალი საკადასტრო გეგმის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის - სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 6 თებერვლის №38602 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისში,

ქუჩა ჩიქოვანი , N 16ა / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩიქოვანი , N 16ა-ს მიმდებარედ # 01.14.14.008.029 (304 მ2) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ხოლო, ქალაქ თბილისის მერიის 2014 წლის 15 აპრილის #833 განკარგულებით მიწის ნაკვეთისთვის (ს/კ: #01.14.14.008.029), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვრა: კ2=3,5.
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის საფუძველზე ირკვევა, რომ მოხდა ##01.14.14.008.029; 01.14.14.008.039; 01.14.14.008.040 საკადასტრო ერთეულების გაერთიანება. რის შედეგადაც შეიცვალა მიწის ნაკვეთის კოდი, კონფიგურაცია და ფართობი. დღეის მდგომარეობით, განმცხადებელი ითხოვს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის - სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 6 თებერვლის №38602 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას და ახალი საკადასტრო კოდის (ს/კ #01.14.14.008.042) (313 კვ.მ) დაფიქსირებას.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
ქალაქ თბილისის მუნიციაპლიტეტის მერის 2018 წლის 16 ნოემბრის ბ01.011832034 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 15 აპრილის N833 განკარგულებაში და დაფიქსირდა "ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა N16ა; ქალაქი თბილისი, ჩიქოვანის ქუჩა N16ა-ს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ჩიქოვანის ქუჩა N16-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.14.14.008.042) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ-2=3.5“. აქედან გამომდინარე, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის - სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 6 თებერვლის №38602 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმი

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის - სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 6 თებერვლის №38602 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირედეს ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: #01.14.14.008.042, ფართობი 313 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882017839059; რეგისტრაციის თარიღი 13/09/2017 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #902018106456, რეგისტრაციის თარიღი 28/12/2018 წ.);
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის - სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 6 თებერვლის №38602 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ქალაქ თბილისის მუნიციაპლიტეტის მერის 2018 წლის 16 ნოემბრის ბ01.011832034 ბრძანება.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის - სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 6 თებერვლის №38602 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.